გათოლებული საერთაშორისო ვითარების პირობებში კომუნისტური და მუშათა პარტიები აკეტერებენ ბრძოლას გამალებული შეიარაღებისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ, ზრდიან თავიანთ ავანგარდულ როლს მშვიდობისათვის, მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლაში.

საამდოდ უზრუნველყოფილი მშვიდობა, სოციალური პროგრესი, ხალხების დამოუკიდებლობა — ამ ყველაზეფაზრ მიზნებს უძღვნის თავის საქმიანობას საერთაშორისო /ასპარეზზ ბრძოლის სამშობლო. ამ მიზნებისათვის ჩვენთან ერთად იბრძვიან მოძმე სოციალისტური ქვეყნები, კომუნისტები, ფართო დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ძალები. მათი ურთიერთგაგება და ურთიერთმოქმედება ამის საწინდარია, რომ მშვიდობისა და პროგრესის საქმე გაიმარჯვებს!

* * *

ამხანაგებო! 65 წლის წინათ ლენინის პარტიამ გაბედულად იკისრა ხალხების წინაშე დიდი პასუხისმგებლობა ქვეყნის ბედისათვის, მისი მომავლისათვის. ოქტომბრის რევოლუციამ ცხადყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშთა კლასს, ყველა მშრომელ სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის კომუნისტური პარტიის — ახალი ტიპის პარტიის, რევოლუციური ბრძოლა და რევოლუციური მოქმედების პარტიის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პარტიის ხელმძღვანელ როლს. იგი განსასხვავებს ყოველივე ეპოქაში, რომელიც კომუნიზმისაკენ მიისწრაფვის, ცხოვრებამ დამაჯერებლად დაადასტერა, რომ განვითარებული სოციალიზმის პირობებში საზოგადოების ცხოვრებაში პარტიის როლი განუხრელად იზრდება. ამის განსაზღვრის ჭეშმარიტი ყოველისა ის, რომ უფრო რთული, უფრო მასშტაბური, უფრო დიადი გახდა ამოცანები, რომლებსაც თანამდგომვე ეტაპზე წყვეტს საბჭოთა ქვეყანა. ამ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კომუნისტური მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება.

ბოლშევიკური ბელშმეკენელების დონის ამაღლების ეძნიშვნელოვანესი ფაქტორია, ბატონ ... ...

ორხევის ბარაქიანი ყანები

მარცვლეულისა და საკვების წარმოების გადიდების საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმმა. მეტი მარცვლეული ბევრი პურია! (აქვე იგულისხმება ბევრი საკვები მეცხოველეობისათვის). პლენუმზე გულისტკივილით ითქვა, რომ რესპუბლიკის ბევრ რაიონში მარცვლეულის საკვლელად ცუდ მოსავალს იღებენ. საესებით სამართლიანად ჩამორჩენილთა შორის თიანეთის რაიონიც მოიხსენიეს. ხოლო უკეთ მუშაობა რომ შეიძლება, ამის მაგალითად ამავე რაიონის ორხევის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მესინიდეთა წარმატება გამოგვადგება.

საინის წყალსაცავის ქვემოთ, აქაურები ზღვის რომ უწოდებენ, ორხევის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის სახნავ-სათესი მიწებია! ველებში აღადანებული სინმინდ ამ ზაფხულს თვალს ტაცებდა. არც იმის შეშნეკვა იყო ძნელი, რომ რაიონის სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებში სინმინდის მოსავალს ასეთი კარგი პირი არ უჩანდა. მაინც შემოდგომა იყო მოთავარი. მოსავალი ხომ ის არის, რაც ბეღელშია. ახლა ორხეველები სინმინდის მოსავალს ამინაკვებენ და ავ-კარგზე მსჯელობა უკვე შეიძლება.

Ო. ₹ინილაშვილი, ორხევის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი: წლეულს მხოლოდ 62 ჰექტარზე გვქონდა სამრცელ სინმინდი. ეს იყო ჩვენგან ამაშური მეთოდის გადმოღების პირველი სერიოზული მოსინჯვა. ყველაფერი იმით დავიწყეთ, რომ მეურნეობის მეშვეობით გავაფორმეთ ხელშეკრულებები, სადაც აღნიშნული იყო ორმხრივი პირობები. თუ ნაკვეთის გამპიროვნებელი ნავარაუდევ მოსავალს მოიყვანდა, ეძლოდა მოსავლის 20 პროცენტი, ხოლო თუ გეგმას გადააჭარბებდა, მაშინ ნამეტი მოსავლის 70 პროცენტს თვითონ მიიღებდა, 30 პროცენტი კი მეურნეობას რჩებოდა. ახლა ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერ სინმინდს ვიღებთ. ჩვენი პირობებისათვის ეს ერთობ კარგი შედეგია.

ა. ₹ეიკბაშვილი, ბრიგადირი: აბაშური მეთოდი შარშანაც ვცადეთ, მაგრამ ამდენი დაინტერესება არ იყო, ხალხი არ მოგვყვებოდა. რა დასამალია, და ჩვენი არც სჯეროდათ. ახლა ყველას უნდა ჩვენთან მუშაობა. ზოგ ჩვენს წევრს ტონა, ტონა-ნახევარი სინმინდი ერგება, ვინ არ იმუშავებს!

₹. პაპაშური, მესინმინდე: 0,25 ჰექტარი მქონდა გაპიროფნებული, 1400 კილოგრამი ტარიოანი სინმინდი მოვიწიე. აქედან 724 კილოგრამი ჩემია. გაისად ნახევარ ჰექტარს მაინც ავიღებ დასამუშავებლად.

ა. ₹ეიკბაშვილი: წინათ რატომ ვერ მოგვყავდა ამდენი მოსავალი? გასამრჯელოდ თითქმის არავინ გვაძლევდნენ, ნაკლები იყო დაინტერესება. ახლა დარმუნებული ვარ, რომ ჩვენი სოფელი გაისად ორჯერ მეტ სინმინდის ნათესს მოუვლის.

₹. ნადიბაიძე, მეურნეობის დირექტორის მოადგილე: უკეთესი მოსავლის მიღებაც შეგვეძლო. წლევანდელ ხარვეზებს მომავლისთვის უთუოდ გავითვალისწინებთ. ტექნიკა არ გვყოფნიდა, არ გვქონდა საშუალება საათხნი კულტურების ფართობები უფრო კარგად მოგვეხნა. ახლა შევიძინეთ სპეციალური მანქანები და გაისად ეს საქმე უკეთ იქნება.

არც სასუქებით მომარაგების საკითხი გვქონდა კარგად. „სოფლქიმიის“ მეცხეთის საერთაშორისო გაერთიანება გვამარაგებს. ისინი კი დროულად ვერ გვაწვდიდნენ, სასუქს. მანქანებიც ძველი გვაქვს, 10-12 წლის წინათ გამოშვებული. ახეთი მანქანებით შორს ვერ წახვალ. ეგ კი არა, ერთი ფარდული ვერ გაგვიკეთებია, რომ ცოტა სასუქი მაინც შევინახოთ. სამშენებლო მასალებს არ გვაძლევენ.

ადრე არც თესლი გვქონდა. აქამდე ჩვენს რაიონში თესლს არავინ აწარმოებდა. ამის გამო ზოგიერთ ნაკვეთში გვიან დავთესეთ. ამან უარყოფითად იმოქმედა საერთო მოსავალზე.

საერთოდ დავთესეთ ახალი ჯიშის სინმინდი „ქართული-9“. ეს პიპრიდული ჯიში სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავმა“ მოგვცა. სინმინდი, როგორც ხედავთ, მშვენიერად აღმოცენდა და განვითარდა ჩვენს ველებში. ახლა ჩვენს მეურნეობას შეუძლია ხარისხიანი თესლით მთელი რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები დაკმაყოფილოს. ალბათ, მეზობელ რაიონებსაც დავეხმარებით.

₹. საბანაშვილი, ბრიგადირი: „ქართული-9“ კარგი ჯიში გამოდგა. ამდენი სინმინდი არასდროს მოგვიწევია. ოჯახში გამოვიყენებთ. პირუტყვის საკვების ყიდვა ალარ დაგვჭირდება. ხუთი ამის დავიგენ ყუბთ, რომ მთელი ფურჩეის ნახევარი მეურნეობისაა, ხოლო მეორე ნახევარი მომყვანისა.

₹. ბოლოთაშვილი, მესინმინდე: კოლექტივი პირველად რომ ჩამოყალიბდა, მაშინ შევედი წევრად. ახლა 70 წლის კაცი ვარ. სინმინდის კარგმა მოსავალმა ისე გამახალისა, რომ გაისად ორჯერ უფრო დიდი ნაკვეთი უნდა გავეპიროფნო.

ო. ₹ინილაშვილი: ჩვენი მეურნეობა მეცხოველეობის მიმართულებისაა. ამიტომ საკვებზე დღენადგა ეზრუნავთ. გაკეთეთ საკვების შესანახადეკი საამქრო. მაგრამ ყველაფერი ეს ცოტაა: გაისად ორჯერ მეტ ფურთობზე დაგვჭირდება „ქართული 9“-ის დათესვა. მეტე კიდევ ვნახოთ.

აი რა შეუძლია მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვას, თანამეგობრის ნაკლის სხვა მეურნეობებიც რომ ასე მოქცეულიყვნენ, მათ შესახებ პლენუმზე აუკეს არაკინ იტყოდა.

ჯ. ₹ურხული,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.



დამთავრდა ცხინვალის „ემალსადენის“ ქარხნის პირველი რიგის რეკონსტრუქცია. ცხინვალელმა სპეციალისტებმა, რომლებიც ეკონომიკური უთანხმობამრეს საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ შემუშავებული პროგრამით საწარმოს ტექნიკურად აწამლენენ, საეჭსლოტაციოდ გადასცეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში შეძენილი სამინანქრეული ორიზონტალური აგრეგატების ხაზი. ამან რამდენჯერმე აამაღლა შრომის ნაყოფიერება და გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

ქარხნის კოლექტივი ღირსეულ შეხვედრას უმზადებს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთაშვილი: სამინანქრებელი ჰორიზონტალური აგრეგატების ახალი ხაზი.

ლ. ₹ეხოვეის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ოქტომბრის ისტორიული მისია

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის 65 წელი შეუსრულდა. თუ გონებას თვალს გადავავლებთ მსოფლიოს ამ ისტორიული სიმაღლიდან, დარწმენდებთ, რომ სწორედ დიდი ოქტომბერი გახდა XX საუკუნის მთავარი მოვლენა. მისმა გამარჯვებამ არა მარტო შეარყია კაპიტალისტური სამყარო, არამედ გახდა ქიდეც წყალგამყოფი ორ ეპოქას შორის. 1917 წლის ოქტომბრმა გადაატრიალა არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი მსოფლიოს ბედი, დასაბამი მისცა ახალ ეპოქას — გლობალური მასშტაბით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლას.

ოქტომბრის რევოლუცია, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, წყვეტდა რუსეთის წინაშე ისტორიის მიერ, მისი ხალხების ცხოვრების კონკრეტული პირობებით დასახულ პრობლემებს. მან ერთიან კალაპოტში მოაქცია მუშათა კლასის ბრძოლა სოციალისტური გარდაქმნებისათვის, გლეხებისა — მიწისათვის, ჩაგრული ხალხებისა — ეროვნული თავისუფლებისათვის, საერთოსახალხო დემოკრატიული მოძრაობისა — მშვიდობისათვის. მან ჩვენს ქვეყანაში მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია! მაგრამ რევოლუციური გარდაქმნების დიალექტიკა ისეთია, რომ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მაგალითი დიდი მხარდაჭერა გახდა იმათთვის, ვინც იბრძოდა და იბრძვის თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური განთავისუფლებისათვის.

სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი და მიღწევები ნათელია. 1917 წელს საბჭოთა რუსეთი მტრული კაპიტალისტური გარემოცვის ბობოქარ ზღვაში პატარა კუნძული იყო. იგი იძლეოდა მსოფლიო სამრეველო პროდუქციის სამ პროცენტზე ნაკლებს. ახლა ჩვენი ქვეყანა სთავეობი უდგას მსოფლიო სოციალისტურ თანამეგობრობას. მის წილად ახლა მოდის მსოფლიო სამრეწველო წარმოების 20 პროცენტზე მეტი, ხოლო მთლიანად სოციალისტური ქვეყნების წილად — 40 პროცენტზე მეტი.

არსებობის პირველი დღიდანვე საბჭოთა სახელმწიფო თანამიდგურულად ხელმძღვანელობს საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობის სტრატეგიით, რომელიც დიდმა ოქტომბერმა გამოაცხადა პირველ ლენინურ დეკრეტში. საბჭოთაის არსებობის პირველი დღეებიდანვე მისი მშვიდობიანი შეტეკის პასუხად მსოფლიო ბურჟუაზია ცდილობდა რაღაც უნდა დასჯდომოდა „ჩიტში ბოლშევიზმი“.

სამოცდახუთი წლის მანძილზე იქმნებოდა „ბოლშევიკური საფრთხის“, „რუსეთის“ ან „საბჭოთა ავბრის მხრივ“ საფრთხის, დასავლეთის „დაუცველობის“ და სხვათა შესახებ ერთი და იგივე მითის სხვადასხვა ვარიაციანი. ამ მითის ნიღბით კი თავს ესხმოდნენ ჩვენს ქვეყანასა: ალიზერ ვილჰელმის ჯარისკაცები — 1918 წელს, ანტანტისა — 1919 წელს, მილიტარისტული იაპონისა — 1938-39 წლებში, ჰიტლერული გერმანიისა — 1941 წელს.

გერმანიის ფაშიზმზე საბჭოთა ავბრის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ არა მარტო იხსნა კაცობრიობა საშინელი საფრთხისაგან, არამედ ხელი შეუწყო კიდევ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნის და ეროვნულ-განმათავისუფ ლ ებ ე ლ ი მოძრაობის უმაგალითო აღმავლობას. ამით განმტკიცდა მშვიდობის ლენინური სტრატეგიის საფუძვლებიც, რომელიც ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ღერძს წარმოადგენს. მარტო 1945 წლის შემდეგ საბჭოთა ავბრის წამოაყენა 110-ზე მეტი დიდი და ყოველმხრივ თანაბარუფლებიანი წინადადება მშვიდობისა და განიარაღების უზრუნველყოფის შესახებ. არც ერთი ქვეყანა არ გამოდის ასეთი ფართო, კონკრეტული და რეალისტური პროგრამით, რომლის მიზანია ახალი ომის საფრთხის შენელება, შემდგ კი სრული აღმოფხვრაც, როგორც საბჭოთა ავბრის. თანამედროვეეტაპზე შემდეგის ლენინური სტრატეგია ხორცს ისხამს XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით. ყრილობის მიერ დასახული ოთხმოცდაანი წლების სამშვიდობო პროგრამა მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი გამაკანსაღებელი, მასტაბილიზებელი და მამოძრავებელი ძალა გახდა.

სურათზე: ვ. ი. ლენინის ძეგლი ბულგარეთის დედაქალაქ სოფიის ცენტრში. საქინფორმის ფოტო

მთელი კაცობრიობის ინტერესებს გამომხატველ ამ კურსს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი ნატოელი მოკავშირეების მილიტარისტული, აგრესიული იმპერიალისტური წრეები უპირისპირდებიან. მათ მიერ გაჩაღებული გამლეტელი შეიარაღება, მასობრივი მოსპობის ახალი სახეობათა იარაღის შექმნა საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების, ომის საშიშროების გაძლიერების მთავარი წყაროა. თუ რა მასშტაბი აქვს კატასტროფას, რომელიც კაცობრიობას ემუქრება, მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ, ამერიკის მონაცემების თანახმად, მსოფლიოში დაგროვებული ბირთვული იარაღის მარაგი ახლა 16 მილიარდ ტონა ტრინიტროტოლუოლს უდრის. თუ რას ნიშნავს ეს ავბედითი ციფრი, ამის წარმოდგენას მოგვცემს ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს დაიხარჯა 3 მილიონი ტონა ტყვიაფშმალი.

მთელ მსოფლიოში გამალებულ შეიარაღებაზე ყოველწლიურად იხარჯება ასტრონომიული თანხა — 600 მილიარდი დოლარი. ბირთვული კატასტროფის საშიშროებაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, გამალებული შეიარაღება თავისთავად კაცობრიობის მატერიალური და სულიერი დოვლათის ფუჭი ხარჯვაა, დოვლათისა, რომელიც ასე სჭირდება ბრძოლას შიმშილთან, დაავადებებთან, უწიგნურობასთან, სოციალური, ენერგეტიკული, ნედლეულის, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას. მართლაც, იმისათვის, რომ მთელ მსოფლიოში სამუდამოდ მოვიღოთ ბოლო შიმშილს, დაავადებებსა და უწიგნურობას, საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ასიგნებანი, რომლებიც ახლანდელი ყოველწლიური მსოფლიო • სამხედრო ხარჯების მხოლოდ 8-10 პროცენტს შეადგენს. როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXVI ყრილობისადმი, „თუ მშვიდობა იქნება, ხალხთა შემოქმედებითი ენერგია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე დაყრნდობით, უთქველად გადაწყვეტს იმ პრობლემებს, რომლებიც ახლა ადამიანებს აწუხებს“.

საბჭოთა კავშირი ცდილობს თავისი უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი, მთელი თავისი ძლიერება გამოიყენოს მშვიდობისა და ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის. ამას თვალსაჩინოდ ადასტურებს მისი სიჯარო ვალდებულება პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი. ამასვე ისახავს მიზნად ახალი დიდმნიშვნელოვანი ინიციატივები, რომლებიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXVII სესიაზე. ამ უდიდესი და ყველაზე ავტორიტეტიანი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სსრ კავშირის წინადადებას ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულების ძირითად დებულებათა მომზადების შესახებ. თუ გაეხორციელდება უკვე დიდი ხნის წინათ მომზადებული ეს ღონისძიება, იგი სერიოზული დაბრკოლება გახდება ახალ-ახალი ტიპისა და სისტემების ბირთვული იარაღის შექმნის გზაზე, ახალ ბირთვულ სახელმწიფოთა გაჩენის გზაზე.

ომის საფრთხის შენელების გზების ძიება გაგრძელდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 21-22 ოქტომბერს გაიმართა მოსკოვში. ამ ფორუმზე დიდი ყურადღება დაეთმო ევროპის 33 ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ხელიდან შეხვედრისათვის მზადებას, რომლის სხდომებიც 9 ნოემბერს უნდა განაახლდეს. სოციალისტურმა სახელმწიფოებმა კვლავ დაადასტურეს, რომ მზრუველად ესწრაფვიან, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს და მიიღონ შინაარსიანი და შეწონასწორებული საბოლოო დოკუმენტი, რომელიც კვლავ ხაზს გაუსვამდა სრულიად ევროპის თანმიერის მონაწილეობა სახელმწიფოთა მტკიცე ვალდებულებას ზუსტად დაიცვან და შესრულონ საბოლოო აქტის ყველა პრინციპი და დებულება და გაითვალისწინებდა შეთანხმებას მათი შემდგომი განხორციელების შესახებ.

მაგრამ რეიგანის ადმინისტრაციის პრაქტიკული ღონისძიებანი მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებს ხელი აიღოს საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების ავანტურისტულ კურსზე. საბოტაჟს უწევს რა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური. ქვეყნების საშვიდობო ინიციატივებს, ვაშინგტონმა ევროპაში დაიწყო პრაქტიკული მზადება ნატოს ქვეყნებში საშუალო საშორის ამერიკული ბირთვული საშუალებების განლაგებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა დაიწყეს სოციალიზმზე პოლიტიკური, იდეოლოგიური და ეკონომიკური შეტევა. ამერიკის იმპერიალიზმი ყოველნაირად ცდილობს უკუღმა დაატრიალოს მსოფლიო განვითარების მიმდინარეობა და ქნის დაძაბულობის კერებსა და საბჭოური ბაზებს, ჯაბანის უზარმაზარ ფლოტებს მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. იმპერიალისტური წრეები მიმართავენ ტერორის, მუქარის, ზეგავლენის მეთოდებს ახალგაზრდა განთავისუფლებული სახელმწიფოებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების მიმართ აზიაში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, კარიბის ზღვის აუზში.

მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში ომის საფრთხის ზრდას, იმპერიალიზმის აგრესიულ ხრიკებს უპირისპირდება მრავალმილიონიანი ომის საწინააღმდეგო მოძრაობა. მის დროშაზე წარწერილია: „არ გვინდა ომი!“, „გაუმარჯოს მშვიდობას!“

საბჭოთა კავშირი კვლავაც განახორციელებს 65 წლის წინათ გამოცხადებულ მშვიდობის კურსს. „ჩვენნი ვეზია, — თქვა 27 ოქტომბერს საბჭოთა მხედართმთავრების თათბირზე ლ. ი. ბრეჟნევმა, — დაძაბულობის შენელება და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება. ჩვენ მას არ გადაეუხვევთ, კიდევ უფრო გავაძლიერებთ ძალისხმევას, კვლავაც შევინარჩუნებთ ინიციატივას საერთაშორისო საქმეებში“. ომების დამთავრება, მშვიდობა ხალხთა შორის კვლავ არის ჩვენი იდეალი. დიდი ოქტომბერი სწორედ იმიტომაც გახდა XX საუკუნის მთავარი მოვლენა, რომ მოწონაევ კაცობრიობა მის გავლენას უკაშირებს ჩაგრულზე თავისუფლების, რეაქციის პროგრესის, უგუნურებაზე-გონიერების, ომის ძალებზე მშვიდობის ძალების გამარჯვებას. (საკდესი)

საკავშირო
ᲓᲘᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲣᲠᲘᲜᲐᲖᲔ
ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაგზავნიან

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

5 ნოემბერი

● ირლანდია

გამოუცხადეს უნდობლობა

დუბლინი. ირლანდიის პარლამენტმა უნდობლობის ვოტუმი გამოუტანა ჩ. ხოხის მთავრობას. მთავრობა გადადგა და ქვეყანაში გაიმართება ახალი საყოველთაო არჩევნები.

ფიანა ფაილის პარტია ჩ. ხოხის მეთაურობით ხელისუფლების სათავეში მოვიდა ამა წლის მარტში. მას არ ჰქონდა აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში და იძულებული იყო ირლანდიის მუშათა პარტიისაგან პარლამენტართა და ორი დამოუკიდებელი დეპუტატის მხარდადაჭერას დაყრდნობოდა. ბოლო დღეებში მუშათა პარტიამ და ერთერთმა დამოუკიდებელმა დეპუტატმა უარი უთხრეს ფიანა ფაილის მხარდაჭერაზე მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში უთანხმოების გამო.

ახალი არჩევნები გაიმართება ნოემბრის ბოლოს ან დეკემბრის დამდეგს. ეს უკვე პარლამენტის მესამე არჩევნები იქნება ბოლო წელიწადნახევარში.

● ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ

შეიქმნა ახალი მთავრობა

ᲰᲐᲐᲒᲐ. ჰოლანდიაში შეიქმნა და ფიცი დადო ახალმა მთავრობამ. იგი შეადგინეს ქრისტიანმა დემოკრატებმა და მემარჯვენე ლიბერალებმა. პრემიერ-მინისტრი გახდა ქრისტიანულ-დემოკრატიული მოწოდების პარტიის ლიდერი რ. ლუუბერსი.

მმართველ კოალიციაში მონაწილეობას ფაქტობრივად ჩამოაშორეს შრომის პარტია, რომელმაც ყველაზე მეტი დეპუტატის ადგილი მიიღო ამას წინათ გამართულ პარლამენტის ვადამდელ არჩევნებში. კოალიციაში შესვლის პირობად ქრისტიანმა დემოკრატებმა და მემარჯვენე ლიბერალებმა შრომის პარტიას მოსთხოვეს დაეთმო ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში, უწინარეს ყოვლისა, ჰოლანდიის ტერიტორიაზე ამერიკული ფრთოსანი რაკეტების განლაგების საკითხში. შრომის პარტიამ გადაჭრით უარყო ეს მოთხოვნა.

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ ᲨᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ

ᲨᲔᲜᲔᲕᲐ. აქ გაიმართა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციების პლენარული სხდომა.

ᲨᲔᲜᲔᲕᲐ. აქ გაიმართა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციების პლენარული სხდომა.

● ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲘ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ

ᲘᲐᲣᲜᲓᲔ. კამერუნის გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამადუ ახიჯომ გამოაცხადა, რომ ამა წლის 6 ნოემბრიდან თავიდან იხსნის სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებას. კამერუნის ეროვნული რადიოთი გამოსვლისას, მან თქვა, რომ ამ პოსტს კონსტიტუციის შესაბამისად დიკავებს ქვეყნის ახლანდელი პრემიერ-მინისტრი პოლ ბია. პრეზიდენტ ახიჯოს არ უთქვამს თავისი გადაწყვეტილების მიზეზი.

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲢᲣᲜᲘᲡᲘ. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება უახლოეს ორ კვირაში დამასკოში მოიწვიოს ამ ორგანიზაციის ცენტრალური სხდომა.

კომიტეტის სხდომა აქ გაიმართა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარის იასერ არაფატის თავმჯდომარეობით და პალესტინის ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელობის მონაწილეობით.

აღმასკომმა მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება დაარქაროს პალესტინის ეროვნული საბჭოს მე-16 სესიის მომზადება პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ყველა რაზმის მონაწილეობით, რათა შეიმუშაონ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის პოლიტიკა ამ მომდევნო ეტაპზე ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის გაწვიმარების შესაბამისად.

● ᲐᲖᲘᲐ-ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲘᲐᲠᲝᲕᲔᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲔᲜᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. თეთრ სახლში გამართა პრეზიდენტ რ. რეიგანისა და აქ მყოფი იტალიის პრემიერ-მინისტრის ჯ. სპადოლინის მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ბუში, სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი და სხვა ოფიციალური პირები. განიხილეს ფართო წრის პრობლემები.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ რეიგანმა თქვა, რომ აშერიკის შეერთებულ შტატებს იტალია „საუკეთესო მეგობრად“ მიიჩნია დასავლეთ ევროპაში და განსაკუთრებული ყურადღებით აღნიშნა მისი „თვალსაჩინო წვლილი“ ნატოს 1979 წლის გადაწყვეტილებაში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ტერიტორიაზე ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების შესახებ.

თავის მხრივ სპადოლინიმ მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების გეზს, რომლის მიზანია შეიარაღების დარგში მოლაპარაკებასთან ერთად განაორიელოს „ატლანტიკური კავშირის თავდაცვის განმტკიცების“, ე. ი. ამ სამხედრო ბლოკის სამხედრო ძალიერების გაზრდის ღონისძიებანი.

ᲘᲠᲐᲜ-ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ

თეერანი. ირანის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბისა და „ისლამური რევოლუციის გუშაგთა“ კორპუსის ცენტრალური შტაბის აქ გავრცელებულ ცნობაში ნათქვამია. რომ რამდენიმე დღის წინათ დაწყებულ შეტევითი ოპერაციის დროს ირანის ჯარებმა გაათავისუფლეს 300 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია. მოსპობილია დაახლოებით 3 ათასი ერაყელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 97 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი, ხელში ჩაიგდეს 1450 ერაყელი სამხედრო მოსამსახურე და მოწონაადმდეგის 45 ტანკი.

ბაღდადი. ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის მორიგ კომუნიკეში ნათქვამია, რომ 8 ნოემბერს წარმოებდა გაადფრებული ბრძოლები ერაყ-ირანის ფრონტზე. ერაყელ ჯარებმა ფრონტის სამხრეთის უბანზე მოსპეს 2.027 ირანელი სამხედრო მოსამსახურე, ხოლო ცენტრალურ უბანზე — 1345. მოწინააღმდეგეს, ნათქვამია კომუნიკეში, ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორებისა და სხვა სამხედრო ტექნიკის მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდა. სამხრეთ ოპერაციებში მონაწილე ერაყელთა ყველა თვითმფრინავი თავიანთ ბაზებში დაბრუნდა.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲜᲓᲝᲒᲘᲡ ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲘᲗ

ᲧᲝᲕᲚᲗᲔᲡᲘᲠᲘᲡ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „სოვეტი ნაროდნის დეპუტატოვ“ გამოქვეყნა, რომელიც დაწესებულად სარგებლობს „ნდობის მანდატით“ ყველა რგოლის დეპუტატთა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაკთა და აქტივისტთა უფროსოთ წრეებში.

რედაქცია ნიადაგ ზრუნავს იმისათვის, თუ როგორ გაუჯრედოს პუბლიკაციის ხარისხი, მრავალფეროვანი გახადოს მისი მიწოდების ფორმა, სიახლე შეტანოს მის ფურცლებზე. საქმიანი, დაინტერესებული საუბარი გაიმართა ამის შესახებ ჟურნალის — „სოვეტი ნაროდნის დეპუტატოვ“ — მკითხველთა კონფერენციაზე, რომელიც 3 ნოემბერს გაიმართა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში. ამ შეიკრიბნენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, ავტონომიურ ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების, სოფლის, საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატები, ადგილობრივი საბჭოების ალმასკომების, მთელი ორგანიზაციების და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები და ჟურნალისტები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. ბ. გელაშვილმა.

მუშაობის მთავარი მიმართულებების, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში მოცემული დებულებებსა და დასკვნების მიხედვით ჟურნალის კოლექტივის წინაშე დასახული ამოცანების შესახებ ილაპარაკა მისმა მთავარმა რედაქტორმა მ. თ. სტრეპეხოვმა.

კონფერენციაზე გამოვიდნენ წარჩინებული მშენებელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ი. ქართველიშვილი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე მ. მ. ხანანაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის მუდმივი კომისიის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ნ. ჯობაძე, სოხუმის რაიონის ეშერის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. ა. ოთიორაგა, ჟურნალ „ლიტერატურნაია გაზეტა“-ს მთავარი რედაქტორი თ. ბ. ბუაჩიძე და სხვები. მათ მაღალი შეფასება მისცეს ჟურნალის საქმიანობას თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა მუშაობის გამოცდილების განზოგადების, საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, დეპუტატების, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანიზაციის მუშაობის გაუქუქნისათვის. მათ დამსწრეთა თავიანთი აზრები და მოსაზრებანი გაუზიარეს, გამოთქვეს მრავალი კონსტრუქციული წინადადება და სურვილი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. შ. სირაძე და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი. (საქინფორმი).

ᲐᲘ ᲣᲐᲖᲔ ოცდახუთ წელზე მეტია, რაც საქართველოს ათიდან ცხრა მეცხოვრეს ყოველდღიურად აწვდის ინფორმაციას რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის ცხოვრების შესახებ საქართველოს ტელევიზია. ამ დიდი კოლექტივის მრავალმხრივი შრომა: ღირსეულად დაფასდა. მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და რესპუბლიკაში ტელევიზიის დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებით მისი მუშაკების დიდ ჯგუფს, აგრეთვე კავშირგაბმულობის მუშაკებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მის ჩამოყალიბებაში მიენ

სიტყვა და საქმე

ჩვენი ყოველი შეგიტანოთ სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებაში — მასწავლებლის რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებმა და ეს მასწავლებლებისა და ხალხის შეუფერებელი მოპარაგების პრობლემა.

ბუთოწლიდის ძირითად ამოცანებში დასახულია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მყარი და შეუნელებელი განვითარების გზები და საშუალებანი; ხაზგასმულია ძირითად საზრუნავი — ეფექტიანად და სწრაფად გადაეკვეთა სურსათ-ხანეული საბჭოთა ხალხის შეუფერებელი მოპარაგების პრობლემა.

ამ საქმეში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეტანა შეუძლიათ რესპუბლიკის ზოგადსაგანათლებლო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებს. გარდა ეკონომიური მნიშვნელობისა, მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითის საქმიანობას უდიდესი აღზრდელობითი დანიშნულებაც აქვს: იგი ხელს უწყობს საზოგადოებრივ შრომაში აღსაზრდელთა აქტიურ ჩაბმას, მათთვის კოლექტივიზმის სულისკვეთების, შრომითი, ზნეობრივი თვისებების აღზრდასა და ჩამოყალიბებას, სწორ პროფესიულ ორიენტაციას, მტკიცე საფუძველს უქმნის სოფლის მეურნეობის, საწარმოებთან კოლეტიურნეობებთან და სამეურნეობებთან აღსაზრდელების სასარგებლო კავშირურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლა-ინტერნატებთან სასწავლო-საცდელი დამბარა მეურნეობების შექმნისა და არსებულის შემდგომი სრულყოფა-განვითარების შესახებ ჯერ კიდევ 1981 წლის თებერვარში იმსჯელა განათლების სამინისტროს კოლეგიამ, მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება და დაამტკიცა დამბარე მეურნეობათა შექმნისა და მათი მოქმედების დებულება. ასე რომ, ჩვენი სკოლა-ინტერნატები ერთგვარად მომზადებულნი შეხვედნენ რესპუბლიკაში სასურსათო პროგრამით დასახული ამოცანების განხორციელებას.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, შარშან თითქმის ყველა სკოლა-ინტერნატმა მიიღო მიწის ნაკვეთი დამბარაე მეურნეობების მოსაწყობად. დიდწო ხეხილს, ცოტოსებს, ჩაის და ეროსწოვანი კულტურების გაშენება-მოყვანა, პირუტყვისა და ფრინველის მოშენება.

სკოლა-ინტერნატებმა უკვე შარშან იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი — თავიანთ დამბარე მეურნეობაში აწარმოონ აღეცილები სოფლის მეურნეობის პროდუქტები. მეურნეობათა საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენის ძირითადად საფუძვლად დაედო აღსაზრდელებისათვის აუცილებელი სასურსათო პროდუქტების წარმოება. ჭარბი პროდუქტების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ხმარდება ინტერნატების სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, დამბარე მეურნეობებისათვის მცირე მექანიზაციის ტექნიკის შეძენას. ეს თანმა ნაწილობრივ ფარავს ხელმოკლე ოჯახებიდან მოსული აღსაზრდელების შენახვის ხარჯებსაც. პრაქტიკაში დაინერგა ოგრეთვე ჭარბი პროდუქტების მიწოდება სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებისათვის, სანატორიული და სპეციალური სკოლა-ინტერნატებისათვის.

შარშან, მაგალითად, სამტრედიის რაიონის ეწრის სამავშვო სახლის აღსაზრდელებმა სიმინდის ფქვილის მოზრდილი პარტია გამოუგზავნეს თბილისის უსინათლო, სუსტმხედველი ბავშვებისა და სამუსიკო სკოლა-ინტერნატებს. სამტრედიის სპეციალურ სკოლა-ინტერნატებმა მაღალი ხარისხის ბაღჩეული მიაწოდეს ქობულეთის სკოლა-სანატორიუმის აღსაზრდელებს. ახალციხის სკოლა-ინტერნატმა ხაფფულის ბერიოდში მთლიანად დაკმაყოფილა ქალაქის სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მოთხოვნილება ბაღჩეულების ბოსტოტენეტება. ალბათ, ეს ფორმა მომავალში ინტერნატის ტიპის სასწავლო დაწესებულებებთან არსებული დამბარე მეურნეობების ძირითად დანიშნულად უნდა იქცეს.

წლეულისა საწარმოო-საფინანსო გეგმების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ისინი, ძირითადად, ადგებოდა სურსათით თვითუზრუნველყოფის პრინციპზე. ეი ამონაწერი ზოგიერთი გეგმიდან: ბათუმის № 2 საშუალო სკოლა-ინტერნატი თავისი დამბარე მეურნეობიდან, რომლის ფართობი 6,2 ჰექტარია, აწარმოებს 42.000 მანეთის პროდუქციას—45 ცენტნერი ღორის ხორცს, 20 ტონა ციტრუსს, 18 ტონა ხილს, 5 ტონა ჩაის და სხვა.

ახალციხის საშუალო სკოლა-ინტერნატი 4 ჰექტარი ფართობიდან 35.000 მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს მიიღებს, აქედან 5 ტონა ხორცს, 30 ტონა ბოსტნეულს; შემოსავლის ნაწილი მოხმარდება ფერმის მშენებლობას. სკოლა-ინტერნატის დირექციის გადაწყვეტილი აქვს 1983 წლისთვის, ეს რში პროდუქტების რეალიზაციის გზით მიღებული შემოსავლით ანაზღაურის აღსაზრდელთა შესანახი ხარჯების ნახევარი.

გასასკეთებელი აღსანიშნავია სამტრედიის რაიონის სოფელ ეწრის სამავშვო სახლის აღსაზრდელთა თაოსნობა. უნდა ითქვას, რომ ამ სამავშვო სახლში საადღესო მოთხოვნათა დონეზეა მოსწავლეთა შრომითი აღზრდა. ასკეთ გათვალისწინებით, შრომაშია ჩაბმული ყველა აღსაზრდელი, სამავშვო სახლი მთლიანად გადასულია თვითმოსახურებზე, სამავშვო სახლს ჰყავს 19 სული მსხვილფეხა რქიანი ეროსკეთ და 29 ღორი. აღსაზრდელთა სუფრაზე ყოველთვის არის ახალი რძე, რძის პროდუქტები, ხილი, ბოსტნეული და საკუთარი ხელით მოწეული სხვა პროდუქტები.

დუშეთის რაიონის პირმასანათკარის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებმა წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლით სკოლა-ინტერნატი შარშან (კალენდარულად გაარემნტეს, „კეთილნი ეწყენ ეზო-გარემო, შეიძინეს სწავლების ტექნიკური საშუალებები, ინტერნატის ეზოში და მის გარშემო დაირგა 130 ძირი კაკლის ხე. სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებმა შეკრიბეს სანრეკვა მეურნეობა და იქ გამოყვანილ კაკალს ხის ნერგებს მიაწვდიან რესპუბლიკის სხვა ინტერნატებს. ახლა მათ ქალთმენის მოშენებას მიჰყვეს ხელი, მზად აქვს მინი-ფერმის პროექტიც, სადაც 15-20 მსხვილფეხა რქიან პირტუყვს იყოლიებენ. წელს კი ინტერნატი საჩელშეფოს 20 ცენტნერ ღორის ხორცს ჩაბარებს.

სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს გეგეკორის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებმა და ამის მეოხებით მათ მფელი ზამთრის განმავლობაში არ მოაკლდათ მაღალხარისხოვანი ბოსტეულით. მეურნეობის გამგის ყ. ზარქუას ინიციატივით, აღსაზრდელებმა ააგეს 320 კვადრატული მეტრი ფართობის სათბური, ამჟამ მეორე სათბურსაც აშენებენ. მეურნეობის ნარჩენებით ისინი გამოზრდიან და საბელმწიფოს ჩაბარებენ 3600 კილოგრამ ღორის ხორცს.

კარგად ორგანიზებული დამბარე მეურნეობები შეიქმნა ზუგდიდის რაიონის საშუალო და ინგირის რვაწლიან, წყალტუბოს რაიონის ბრიწეულას, წულუკიძის რაიონის. სოფელ გორდას, გულრიფშის რაიონის დრანდის, ლუნინგორიოს და ამბეტის სკოლა-ინტერნატებში, მახინჯაურას, თელავისა და ბათუმის სამავშვო სახლებში.

სულ მომდინარე წელს რესპუბლიკის ინტერნატების აღსაზრდელები თავიანთ დამბარე მეურნეობებში საკვები ნარჩენების გამოყენებით აწარმოებენ 1500 ცენტნერ ღორის ხორცს.

სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის მყარი საფუძველის შექმნის მიზნით, ჩვენ გადავწყვეტეთ, რომ ამიერიდან ყველა ახალი სკოლა-ინტერნატი ან შრენებლობისას გათვალისწინებულ იქნეს დამბარე მეურნეობისადგომებისა და დამბარე საკოთვლების მშენებლობა, ეს კი იმის გარანტიას იძლევა, რომ რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატები მომავალში მნიშვნელოვნად გაზრდიან თავიანთ ვალდებულებებს, გაამდიერებენ და გაფართოებენ დამბარე მეურნეობებს, რითაც თავიანთ წვლილს შეტანენ რესპუბლიკის წინაშე მდგომი სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელების საქმეში.

ჯ. თუთბერიძე,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი.

საჭადრაკო ოლიმპიადები

ლუცერნი გრძელდება მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადები. მეხუთე ტურში სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა ანგარიშით 3:0 დამარცხა ბულგარეთის გუნდი. ამჟერად საბჭოთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსაძერია. პრეკელმა მოუგო ლემაჩკოს, მეორემ — ეოისს, მესამემ — ბოიჯიევას. ლიდერობენ კვლავ ჩვენი მოკადრაკე ქალები, რომლებსაც მეექვსე ტურის წინ 13 ქულა ჰქონდათ.

მეხუთე ტურში სსრ კავშირის ეაოთა ნაკრების მატჩეკი იყო ჩეხოსლოვაკიის კოლექტივი. ჩვენმა ვაჟებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 2,5:1,5. კარპოვმა მოუგო ჰორტს, ფუსეკოვმა — პლაბეტას. კასპაროვი დაუზავდა სპეიკელს, ხოლო პოლუგაევსკიმ წააგო შეხვედრა ფუტჩნიკთან. ხუთი ტურის შემდეგ გამთაშვიბის. ლიდერს — საბჭოთა ნაკრებს 16,5 ქულა ჰქონდათ.

სატურნირო ორბიტა

წყალბურთი. მოსკოვში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური. აქ უმაღლესი ლიგის 6 საუკეთესო კოლექტივი იბრძვის სამრიხო ადგილებისათვის. პირველი დღის შედეგები ასეთია: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი-ბოსკოვის უნივერსიტეტი — 7:5, მოსკოვის „დინამო"-თბილისი — 10:5 — 13:4, აღმა-ათის „დინამო"-ყიევის „დინამო" — 10:6.

ფეხბურთი. დამთავრდა ევროპის ქვეყნების საკლუბო გუნდებს ტურნირების მორიგი ეტაპი. **ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში** ბავშ დ ნ ე ნ: კიევის „დინამო", ტალიინა „ეიენტხოვენ", ინგლისის „ლეიტონ-ეი", ინგლისის „ასტონ ვილა", სან-სებასტიანის (ესპანეთი), „რეალი", გერ-ის „ჰამბურგი", ბონუნეთის „ვიძეევი" და პორტუგალიის „სპორტინგი": **თასის მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალისტები არიან:** ბელგიის „ანტორსეი", ესპანეთის „ბარსელონა", იტალიის „ინტერი", ბოტლანდიის „აბერდინი", ავსტრიის „ოუსტრია", საფრანგეთის „პარი სენ-ჟერმენი", მადრიდის „რეალი" და გერ-ის „ბაიერნი"; **უეფას თასის გათამაშების მერვედფინალში** ბავ**ფინალისტები:** მოსკოვის „სპარტაკი", ბელგიის „ანდერლეხტი", გერ-ის „ვერდერი", ესპანეთის „ვალენსია", ჩეხოსლოვაკიის „ბოჰემიანსი", პორტუგალიის „ბენფიკა", ბოტლანდიის „დანდი იუნაიტედი", იტალიის „რომა", საფრანგეთის „ბორდო", გერ-ის „კელნი", რუმინეთის „უნივერსიტატი", შვეიცარიის „ციურიხი", ესპანეთის „სევილია", იუგოსლავიის „სარაევო", გერ-ის „ეინტრასლაუტერნი". ბოლო მერვედფინალისტს ვინაობა უდგა გარკვეულიყო შვეიცარიის „სერვეტასა" და პოლონეთის „შლონსკს". შორის გუნდს გამართულ მატჩში. **უეფას თასის გათამაშების მერვედფინალური შეხვედრები** გაიმართება 24 ნოემბერს **და 8 დეკემბერს.**

ფოსკოვიი „სპარტაკის" ფეხბურთელთა მატჩე უეფას თასის გათამაშების მერვედფინალში იქნება ესპანეთის გუნდი „ვალენსია". ეს გაიკვეთა უეფას შტაბ-ბინაში ზეზილურის შედეგად. პირველ მატჩში 24 ნოემბერს „სპარტაკი" უმასპინძლებს მატჩქეს, განმეორებითი მატჩი გაიმართება 8 დეკემბერს.

სრლა. კარაკასში გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი. 25 მეტრზე პისტოლეტის სწრაფად სროლაში ოქროს მედალი მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ი. პუზნირო